



ქედის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 148
05/02/2020

დაბა ქედა

148-03-4-202002051459



ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 დეკემბრის №9 დადგენილების შესაბამისად **ვზრძანებ:**

1. შეიქმნას ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო (შემდგომში - „საბჭო“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯემალ ტაკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) მუხრან სალაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ეკა გოგუაძე - მახარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი - მდივანი;

დ) რაულ ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში, საბჭოს წევრი - მდივანი;

ე) გენადი ანანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

ვ) სულიკო ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

ზ) სულიკო ჩხიკვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

თ) სოფიო ხაბაზი - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

ი) ვაჟა აბულაძე - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ქედის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბჭოს წევრი;

კ) მალხაზ საფარიძე - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ქედის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბჭოს წევრი;

ლ) ასლან ჭანიძე - არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

მ) დავით ანანიძე - ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი;

ნ) ნათია აფხაზავა - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ო) გიორგი შავლიძე - მოქალაქე, დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი, საბჭოს წევრი;

პ) ვალერიან ბაჯელიძე - მოქალაქე, დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი, საბჭოს წევრი.

2. საბჭომ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 დეკემბრის №9 დადგენილების შესაბამისად.

3. ბრძანების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა - ბ. სურმანიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან გორგილაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა